სსიპ Gგორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ოთარ მჭედლიშვილი

ადამიანური კაპიტალი, როგორც ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა ბებნაძე

ასოცირებული პროფესორი

gori

2020

ანოტაცია

სხვადასხვა ქვეყნების, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგად, მრავალჯერადად დადასტურდა ადამური კაპიტალის განვითარების დონესა და ეკონომიკურ აღმავლობას შორის ურთიერთკავშირი და მიუხედავად ამისა დღესაც აქტუალურად ხდება მკვლევართა მიერ ინტელექტუალური რესურსის გავლენის დადგენა ინოვაციური პროცესებზე. აქედან გამომდინარე საკვლევი თემის მიზანია ადამიანური კაპიტალის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და ანალიზი. ასევე ეკონომიკისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას შორის ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა კვლევები განათლებასა და ეკონომიკას შორის კორელაციის მიმართულებით და გაკეთებულია დასკვნები.

კვლევის მიზანია:

- ადამიანური კაპიტალის ზრდა და განვითარებაზე მოქმედი ფატორების შესწავლა;
- ასევე ინტელექტუალურ კაპიტალსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის კორელაციის დადგენა;
- განათლების გავლენის კვლევა ქვეყნის ეკონომიკებზე.

ამ მიზნს მისაღწევად ნაშრომის შესრულებისას დაისახა **შემდეგი ამოცანები:**

- ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებით, მეცნიერული კონცეფციების მიმოხილვა;
- ადამიანური კაპიტალის, როგორც ბიზნესის ძირითადი ფაქტორის ანალიზი;
- ადამიანურ კაპიტალზე განათლების გავლენის როლის კვლევა;
- განათლებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად, მსოფლიოში არსებული გამოცდილებისა და კვლევების მეორადი კვლევა.
- საქართველოში ინოვაციური კაპიტალის მდგომარეობის ანალიზი;
- სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებსა და ინდექსებში საქართველოს პოზიციების ანალიზი.

კვლევის **საგანი** და **ობიექტია** ადამიანური კაპიტალი და მასში განხორციელებული კაპიტალდაბანდებები.

Annotation

Human capital pment the main factor of business development

Otar Mchedlishvili

Studies by various countries and international organizations have frequently confirmed the relationship between the level of human capital development and economic prosperity and yet for researchers it is still relevant to determine the impact of intellectual resources on innovative processes. Therefore, the aim of the research topic is to study and analyze the factors affecting the growth of human capital. As well as establishing the link between the development of the economy and human capital. In order to achieve this aim, the paper analyzes various studies between education and economics in the field of correlation and draws concussions.

The purpose of the study:

- Study of factors affecting the growth and development of human capital;
- Also establish a correlation between intellectual capital and the economic development of the country;
- Research on the impact of education on the country's economies.

In order to achieve this goal, the following tasks were set during the performance of the paper:

- Analysis of human capital as a key factor of business;
- Research on the role of education in the impact on human capital;
- Analysis of the state of innovative capital in Georgia;
- Analysis of Georgia's position in various international rankings and indices.

The subject and object of research is human capital and capital investments made in it

შინაარსი

შესავალი ---------- 4

თავი I. ადამიანური კაპიტალი, როგორც, ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორი ---------- 8

1.1. ადამიანური კაპიტალი და მისი განვითარების თეორიული წინამძღვრები ---------- 8

1.2. ადამიანური კაპიტალის როლი ბიზნესის განვითარებაში ---------- 16

თავი II. გლობალიზაცია, ცოდნის კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა ---------- 22

2.1. გლობალიზაციის გავლენა ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ---------- 22

2.2. ინტელექტუალური (ცოდნის) კაპიტალისა და განათლების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ---------- 25

თავი III. კვლევის დიზაინი და ტექნიკური მხარე ---------- 35

3.1. კვლევის კითხვარი ---------- 35

3.2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და განათლება (მსოფლიო სტატისტიკის ანალიზი) ---------- 39

დასკვნა ---------- 52

გამოყენებული ლიტერატურის სია ---------- 55

შესავალი

დღევანდელ ეტაპზე, მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანური კაპიტალის როლი. განვითარებული ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრეში მასზე 70-დან 80 %-მდე მოდის, მაშინ, როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 30 %-საც ვერ აღწევს. ეს ნიშნავს რომ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის თანამედროვე განათლება და მეცნიერება ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. მეცნიერებაში არ იქმნება ახალი ტექოლოგიები და ინოვაციები. არადა, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი თანამედროვე ეკონომიკისთვის, საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც, ადამიანური კაპიტალია. ადამიანური კაპიტალის ძირითადი მდგენელი კი ინტელექტუალური კაპიტალია, რომლის ზრდა და ეფექტიანობა განათლებისა და მეცნიერების გარეშე შეუძლებელია.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ბოლოს, განვითარებულმა ქვეყნებმა, სახელმწიფოსა თუ საზოგადოების საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად ადამიანი, მისი სულიერი, მატერიალური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება გამოაცხადეს. განათლება და მეცნიერული კვლევები, ქვეყნის განვითარებისთვის გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია.

განათლების სხვადასხვას საფეხურები და განსაკუთრებით, კი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, პრაქტიკულად ადამიანური კაპიტალის - შრომითი რესურსის კვლავწარმოების ადგილია და სწორედ აქ უნდა მოხდეს, ერთის მხრივ, დემოკრატიულ ღირებულებების პიროვნებების აღზრდა და მეორეს მხრივ, შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება.

ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის დონე განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასაც. გლობალური პროცესების გაღრმავებამ კი კონკურენცია კიდევ უფრო მძაფრი გახადა, ვიდრე ეს ჩაკეტილი ეკონომიკის ქვეყნებში იყო.

თანამედროვე ეტაპზე, ინოვაციური ეკონომიკები ყალიბდება მხოლოდ და მხოლოდ „ცოდნის ეკონომიკაზე“ დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნებში ინტელექტუალური კაპიტალის ზრდას და განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყნების, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგად, მრავალჯერადად დადასტურდა ადამური კაპიტალის განვითარების დონესა და ეკონომიკურ აღმავლობას შორის ურთიერთკავშირი და მიუხედავად ამისა დღესაც აქტუალურად ხდება მკვლევართა მიერ ინტელექტუალური რესურსის გავლენის დადგენა ინოვაციური პროცესებზე.

ზემოაღნიშნული განაპირობებს საკვლევი **თემის აქტუალობასაც.**

კვლევის მიზანია:

- ადამიანური კაპიტალის ზრდა და განვითარებაზე მოქმედი ფატორების შესწავლა;
- ასევე ინტელექტუალურ კაპიტალსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის კორელაციის დადგენა;
- განათლების გავლენის კვლევა ქვეყნის ეკონომიკებზე.

ამ მიზნს მისაღწევად ნაშრომის შესრულებისას დაისახა **შემდეგი ამოცანები:**

- ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებით, მეცნიერული კონცეფციების მიმოხილვა;
- ადამიანური კაპიტალის, როგორც ბიზნესის ძირითადი ფაქტორის ანალიზი;
- ადამიანურ კაპიტალზე განათლების გავლენის როლის კვლევა;
- განათლებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად, მსოფლიოში არსებული გამოცდილებისა და კვლევების მეორადი კვლევა.
- საქართველოში ინოვაციური კაპიტალის მდგომარეობის ანალიზი;
- სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებსა და ინდექსებში საქართველოს პოზიციების ანალიზი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. - კვლევის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ქართულ და უცხოურ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომები საკვლევ

თემასთან დაკავშირებით, ასევე გაანალიზებული იქნა ის კვლევები და შედეგები, რომელიც ეძღვენება ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკის, ასევე განათლების ურთიერთდამოკიდებულების შეფასებას.

ნაშრომის ფარგლებში მოხდა მეორადი კვლევა, რომლის დროსაც გამოყენებული იყო სტატისტიკური კვლევის შემდეგი მეთოდები: ინდუქციისა და დედუქციის, ასევე სინთეზის, შედარების და დაჯგუფების მეთოდები.კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, მოხდა მათი იდენთიფიცირება და გაკეთდა წინადადებები ამ პრობლემების დაძლევის მიზნით.

თავი I. ადამიანური კაპიტალი, როგორც ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორი

1.1. ადამიანური კაპიტალი და მისი განვითარების თეორიული წინამძღვრები

ტერმინი -ადამიანური კაპიტალი, ლიტერატურაში მე-20 საუკუნიდან შემოდის და ამავე პერიოდიდან იწყება მისი, თეორიული შესწავლა მეცნიერულ დონეზე.

ეკონომიკის განვითარებამ და ინოვაციების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საჭიროება. ინტელექტუალური შრომა კიდევ უფრო მოთხოვნადი ხდებოდა და წინ უსწრებდა ფიზიკური და ბუნებრივი კაპიტალის მოთხოვნის ზრდას.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში და ეროვნულ სიმდიდრეში იზრდებოდა ადამიანური კაპიტალის როლი, რამაც, შესაბამისად ამ სფეროში, ინვესტიციების ზრდა მოითხოვა.

მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა, **თეოდორ შულცმა,** დაიწყო ადამიანური კაპიტალის მეცნიერული შესწავლა.

მისი პოსტულატის მიხედვით, - ადამიანური კაპიტალის განათლების დონეს, (ინტელექტუალურ კაპიტალს), უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისთვის, რამეთუ ინტელექტი პირდაპირ კავშირშია ინფორმაციისა და ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებასთან.

თეოდორ შულცის კვლევებამდე ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი ადამიანური კაპიტალის შესახებ. სტატიაში -„ კაპიტალის შექმნა ადამიანის წყალობით“, - თეოდორმა წარმოადგინა სამუშაო ძალის შეფასების საკუთარი მიდგომები. ადამიანური კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას, შულცი იყენებდა ყველა იმ დანახარჯს, რასაც ადამიანი სწავლის პერიოდში ეწეოდა. ამ სტატიიდან ერთ წელიწადში, 1961 წელს, მან გამოაქვეყნა ნაშრომი -„ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში“, სადაც ავტორი ეკონომიკური კუთხით მიმოიხილავს და ერთმანეთს ადარებს წარმოების პროცესში რეალიზებულ ადამიანურ და

მატერიალურ კაპიტალს. ამასთანავე შულცს შემოაქვს ტერმინი -განათლების დანახარჯები, როგორც ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში.[1]

კიდევ ერთი მეცნიერი ადამიანური კაპიტალის კვლევებში, ასევე ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი **გერი ბეკერი** გახლდათ. მის მიერ 1962 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი -„ ადამიანური კაპიტალი: თეორიული ანალიზი“ და 1964 წელს, ფუნდამუნტული კვლევა -„ადამიანური კაპიტალი: თეორიული და ემპირიული ანალიზი“. [2] ამ ორივე ნაშრომმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, შემდგომში ამ მიმართულებით კვლევების წარმართვაზე.

თეოდორ შულცსაც (1979 წ.) და გარი ბეკერსაც (1992 წ.), ადამიანური კაპიტალის კვლევებისათვის ნობელის პრემიები მიენიჭათ.

ადამიანური კაპიტალის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ისეთ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ: უილიამ პეტი, კარლ მარქსი, ჯონ მილი და ადამ სმიტი, ალფრედ მარშალი და სხვ.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ადამიანური კაპიტალის შეფასება ჯერ
კიდევ ბიბლიური დროიდან იღებს სათავეს, პირველ ეტაპზე ადამიანის ეკონომიკური ღირებულების შეფასება მონების ყიდვა-გაყიდვის პროცესთან იყო დაკავშირებული.

„ პირველი მეცნიერი, რომელმაც სერიოზულად შეაფასა ადამიანური კაპიტალი იყო **უილიამ პეტი.** მის შეფასება ემყარებოდა ორ თეზისს:

- **მუშახელის მთლიანი გამომუშავება არის სხვაობა მთლიან ეროვნულ ხარჯებსა და იმ მოგებას შორის, რომელიც მიიღება სხვადასხვა რესურსებიდან.**
- **მოსახლეობის ფასი მრავალჯერ აღემატება სამუშაო ძალის მიერ გამომუშავებულ ღირებულებას.**

იულიამ პეტის მიერ წარმოდგენილი ასეთი პოსტულატები ძნელია აღსაქმელად და უგულებელყოფს მრავალ საყურადღებო ფაქტორს.

[1] Schultz T, ,,Investment in Human Capital, American Economic Review”, volume 51, N1, March 1961, P. 3.
[2] Gary S.Becker, ,,Investment in Human Capital: A Theoretical Analysis’’, The Journal of Political Economy, Volume 70, Part 2: Investment in Human Beings, October, 1962

ადამს სმიტს, თუმცა არ განუსაზღვრავს ადამიანური კაპიტალის ზუსტი ცნება, მაგრამ ადამიანის დახელოვნებასა და სარგებლიანობას რთავდა ფიქსირებული კაპიტალის კატეგორიაში. სწორედ სმიტიდან მოდის ,,წარმოების ღირებულების'' მეთოდის საწყისები, რაც მდგომარეობს ადამიანის მიერ წარმოებაზე გაწეული რეალური დანახარჯების შეფასებაში. მან სამუშაო ძალის დახელოვნება დაახასიათა, როგორც ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ძალა. იგი აღნიშნავდა, რომ სასარგებლო შრომის მწარმოებლურობის ზრდა დამოკიდებულია უპირველესად მუშაკის ცოდნასა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებაზე, რომელთა დახმარებითაც იგი მუშაობს". [3]

ა. სმიტი წერდა: - ,,ყოველი ქვეყნისა და საზოგადოების მარაგი შედგება საზოგადოების ყველა მცხოვრებთა და წევრთა შეძენილი და სასარგებლო უნარისაგან. ასეთი უნარის მოპოვება, რადგან ამისათვის მისი შემძენელის შენახვა ამ უკანასკნელის აღზრდის, სწავლის ანუ შეგირდობის განმავლობაში, მოითხოვს ყოველთვის ნამდვილ ხარჯებს, რომლებიც წარმოადგენს ძირითად კაპიტალს, განხორციელებულს, ასე ვთქვათ, ასეთი ადამიანის პიროვნებაში. რადგან ეს უნარი შეადგენს პიროვნების ქონების ნაწილს, ამიტომ იგი შეადგენს აგრეთვე იმ საზოგადოების ქონების ნაწილს, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის. მუშის განვითარებული დახელოვნება შეიძლება განვიხილოთ იმავე თვალსაზრისით, როგორც მანქანა და სამუშაო იარაღი, რომლებიც აადვილებს ან ამცირებს შრომას და, რომლებიც, თუმცა მოითხოვს განსაზღვრულ ხარჯებს, მაგრამ ამ ხარჯებს ანაზღაურებს მოგებითურთ''.

ადამ სმიტი მეტად ვეღარ შევიდა აღნიშნული თეორიის განვითარებაში და ვეღარ შეაფასა ადამიანური კაპიტალის ღირებულება, რაც შემდგომ სრულყოფილად შესძლეს მისმა მიმდევრებმა და ადამიანი შეიყვანეს კაპიტალის ერთ-ერთ კატეგორიაში.

ადამ სმიტის მიმდევართაგან ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი იყო ალფრედ მარშალი. მან ადამიანური კაპიტალი გაუტოლა პერსონალური სიმდიდრის ცნებას იმ ენერგიით, შესაძლებლობებითა და თვისებებით, რომელიც ხდის მას ეფექტიანს. სწორედ ამ ნიშნების მიხედვით უწოდა მარშალმა ადამიანს კაპიტალი.

[3] სოფიკო ხაჩიძე. ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და მისი გავლენა ეკონომიკურ განვიტარებაზე. 2019

ალფრედ მარშალის მოსაზრებით, არსებობს ორი სახის სარგებელი - პირდაპირი და არაპირდაპირი და მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

„უმაღლესი განათლების სფერო აძლევს პირდაპირ სარგებელს ხელისუფლებას, წვრილ მეწარმეებსა და მუშებს, კარგი განათლება იძლევა არაპირდაპირ სარგებელს ყველა ჩვეულებრივი მშრომელისათვის. იგი სტიმულს აძლევს მის გონებრივ აქტიურობას, ავითარებს ცნობისმოყვარეობას, შრომით საქმიანობაში მას უფრო აქტიურს, კეთლშობილს, ორგანიზებულსა და საიმედოს ხდის. კარგი განათლება აძლიერებს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობას, როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო საათების პერიოდში. იგი არის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საშუალება ..... განათლება არა მარტო ეხმარება ინდივიდებსა და სოციალურ ფენებს თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებაში, არამედ იგი არის ზღვარი სოციალურ კლასებს შორის. იგი არის კარგი საშუალება იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს სოციალური მობილურობა და გამოვლინდეს იმ ადამიანების ფარული ნიჭი, რომლებმაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვებისთვის შეუმჩნევლად განვლეს თავიანთი ცხოვრება. “.[4]

კიდევ ერთი მეცნიერი, რომელმაც ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნა ადამიანურ კაპიტალს, იყო **კარლ მარქსი.** მან პირველმა მოახდინა „სამუშაო ძალის“ და „დაქირავებული სამუშაო ძალის“ ცნებების სიღრმისეული ჩამოყალიბება. მისი აზრით, ადამიანის მწარმოებლური შესაძლებლობები, საზოგადოების მწარმოებლური შესაძლებლობაა და ის წარმოადგენს მთავარ დოვლათსა და გაწეული შრომის უმთავრეს შედეგს. მარქსი გამოყოფდა ადამიანური კაპიტალის მწარმოებლურობაში თავისებურებებს და განსხვავებებს სხვა სახის საზოგადოებრივ წარმოებასთან მიმართებაში და ამბობდა, რომ - „სამომხმარებლო წარმოების ამ პროცესში ხდება არა მარტო კვლავწარმოება, არამედ სრულყოფა, განვითარება, მიმდინარეობს შრომის მწარმოებლური ძალის, ადამიანის, შემოქმედებითი უნარის თავისებური დაგროვება, ამასთან, უმთავრესად გონებრივი შესაძლებლობებისა “.

[4] ა. სმიტი . ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'', თბილისი, 1938 გვ. 218-219.

ცნობილი მეცნიერების **ირვინგ ფიშერის** და **ედუარდ დენისონის** შრომები ადამიანს განიხილავს, როგორც, სასარგებლო დანიშნულების მატერიალურ ობიექტს და ამიტომ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ამ კაპიტალის ხარისხობრივ ცვლილებებზე, რისი საფუძველიც ამ ადამიანის დახელოვნება და შეძენილი უნარებია.

ამ ეკონომისტთა და ადამიანური კაპიტალის კლასიკოსთა კონცეფციის მნიშვნელოვანი ობიექტი რაციონალური ადამიანია, რომლის მიზანიც არის, თავისი წმინდა შემოსავლის ზრდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ეკონომიკური ისტორიიდან ცნობილია, რომ მსოფლიოში მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან გავრცელდა ახალი ინოვაციური ტალღა. იგი დაკავშირებული იყო ელექტროენერგიისა და ავტომობილების წარმოებასთან. აღნიშნულმა პროცესებმა კვალიფიციურობის კუთხით, ახალი მოთხოვნები წაუყენა ადამიანს, როგორც წარმოების ერთ-ერთ ფაქტორს. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეიცვალა საწარმოო პროცესებში ადამიანის ჩართულობის ფორმა და შინაარსი.

მე-20 საუკუნის ეკონომისტთაგან, მნიშვნელოვანია ამერიკელი მეცნიერი **ჯეკ უოლში.** 1935 წელს, მან დაადგინა კორელაცია, პროფესიული განათლებასა და აშშ-ს ეროვნული შემოსავლის დონეს შორის. მის მიერ პირველად იქნა გამოყენებული მრავალი ცნება, რომლებიც დღესაც წარმოადგენს საყრდენს ადამიანური კაპიტალის კვლევაში. უოლშის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა განათლების ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხები, რომლებსაც, ასევე ყურადღება მიაქციეს თეოდორ შულცმა, გარი ბეკერმა და სხვა ეკონომისტებმა. მისი კვლევების მიზანი იყო, დაედგინა, რამდენად აუცილებელი იყო, განათლებაზე ხარჯების გაწევა, კარიერული წარმატებისათვის. ანუ, კარიერული წინსვლიდან მოგების ზრდისთვის აუცილებელი იყო თუ არა, ისეთივე ინვესტიციების განხორციელება ადამიანურ კაპიტალში, როგორსაც განახორციელებდნენ სხვა სახის კაპიტალში.

ამ კვლევაში მან გამოიყენა სხვადასხვა მოსაზრებები საკუთარი შეხედულებების გასამყარებლად. მან აიღო მონაცემები სხვადასხვა დონის განათლების მქონე ადამიანების შემოსავლების შესახებ. განათლების სხვადასხვა დონის ღირებულების გამოსათვლელად,

უოლშმა გამოიყენა წარმოების ღირებულების მეთოდი. კვლევების შედეგად მან დაადგინა, რომ - მუშაკის განათლების საერთო დონე, მისი პროფესიულ - კვალიფიციური მომზადება არის ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი. მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი, კი უშუალო გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლის ზრდასა და დაგროვების დონეზე.

ადამიანური კაპიტალის თეორიაზე დაყრდნობით, ადამიანის შრომითი უნარის სრულყოფის მოტივი, მუდმივად იქნება ეროვნული ეკონომიკის ზრდის სტიმულატორი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განათლების მიღებით ინდივიდებში ხდება პროგრესული ცვლილებები, მათი ძალისხმევის შედეგად ძლიერდება პროცესები, რომლებიც განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას, რამეთუ, განათლება არის საზოგადოების ის ძირითადი მახასიათებელი, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა.

სარგებელი, რომელსაც ადამიანები იღებენ შემოსავლების სახით, არის მათი მთავარი მოტივატორი. ეკონომისტები, შრომის ანაზღაურებას განიხილავენ, როგორც მთავარ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შრომის ნაყოფიერების ზრდა. ისევე როგორც, წარმოების სხვა რესურსებზე, შრომის ბაზარზეც სამუშაო ძალის ფასი მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად დგინდება, მოსახლეობის მიერ განათლებაში გაწეული ხარჯების ზრდა იწვევს ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის ზრდას, რის შედეგადაც, ეროვნულ ეკონომიკაში იზრდება შრომის ნაყოფიერება და შემოსავლები.

მოცემულ თეორიებში განათლება და ეკონომიკა წარმოდგენილია, როგორც ურთიერთდამოკიდებული სფეროები. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა ხდება ტექნიკური ეფექტიანობისა და ეკონომიკაში განხორციელებული ინოვაციური ცვლილებების შედეგად, რომელიც მიიღწევა განათლების დონის ამაღლებით და წარმოადგენს ინტელქტუალური შრომის შედეგს.

1960-იანი წლებიდან ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოდის განათლებასა და ეკონომიკას შორის კოლერელაციის რაოდენობრივი თეორიები. ეს თეორიები იკვლევს განათლების ხარჯების ზემოქმედებას ეკონომიკური განვითარების დონეზე. მათ შორის

საყურადღებოა ე.წ. „მაკროეკონომიკური თეორიები“. რომლის ფუძემდებელიც იყო, - ამერიკელი მეცნიერი, **ედვარდ დენისონი.** მან ეკონომიკურ ზრდაზე, განათლების ზემოქმედება, განსაზღვრა საწარმოო ფუნქციის მეშვეობით და გამოშვებული პროდუქცია წარმოადგინა, როგორც კაპიტალისა და შრომის ფუნქცია. მან ასევე გაიანგარიშა თუ რამდენად მოქმედებს განათლება პროდუქციის გამოშვებაზე, შრომის ხარისხზე და შრომის პროდუქციის რაოდენობრივ ცვლილებებზე.

ედვარდ დენისონის თეორიის მიხედვით, - აშშ-ში 1909-1959 წლებში განათლების საფუძველზე გაიზარდა შრომის საშუალო ხარისხი. შესაბამისად, კეთდება დასკვნა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში განათლება არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყარო. ამას გარდა, განათლების დონესა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლებს შორის კავშირის განსაზღვრისას ე. დენისონმა დადგინა, რომ ერთანაირი ასაკის ინდივიდების საშუალო შემოსავლებში სხვაობის 3/5 განპირობებულია განათლების დონით, ხოლო დანარჩენი - ინდივიდის პიროვნული თვისებებითა და სხვა გარემოებებით, როგორიცაა ნიჭი, სიახლის აღქმის უნარი, სწრაფი აზროვნება და სხვა.[5]

რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე, ამიტომ ინვესტიციები განათლებაში მიზანშეწონილი და გამართლებულია.

ადამიანური კაპიტალის თეორიის ავტორები თვლიან, რომ განათლების მიღებაზე გაწეული ხარჯები არის ადამიანში განხორცილებული კაპიტალდაბანდებები, ხოლო ცოდნის მიღება - ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება. ადამიანები, განათლების შეძენით, ახდენენ ინვესტირებას საკუთარ თავში.

ადამიანური კაპიტალის ცნება ადრეულ ხანაში მრავალი ეკონომისტის მიერ მიერ იყო აღიარებული. საწყის ეტაპზე, მისი სრული შეფასება არსებული კონცეფციების მიხედვით არასაკმარისი აღმოჩნდა, ამიტომ, მრავალი მეცნიერი იყენებდა სხვადასხვა შეფასებებს და ცდილობდა ამ ხარვეზების შევსებას. მათი ნაწილი ადამიანურ კაპიტალს აფასებს, როგორც

[5] სოფიკო ხაჩიძე. ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და მისი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. 2019

სხვადასხვა კაპიტალდაბანდების შედეგად წარმოებულ ღირებულებას, ნაწილი განსაზღვრავს საკუთრივ განათლების ღირებულებას მიღებული შემოსავლებით.

მე-19 ს-ში ,ეკონომისტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს განათლებიდან მიღებული სარგებლის შესახებ სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ 60-იან წლებიდან დაიწყო განათლებაში კაპიტალდაბანდების, ადამიანური კაპიტალის ფორმირების, ეკონომიკური ზრდის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ურთიერთობების პრობლემების სიღრმისეული შესწავლა. ყურადღება გამახვილდა, როგორც საზოგადოების, ასევე ადამიანის განათლებიდან მიღებული სარგებლის გაზომვის შესაძლებლობებზე.

განათლებასა და შემოსავლებს შორის კორელაციის კვლევას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი. მეცნიერთა დიდი ნაწილი იკვლევდა განათლებაში ინვესტირების შედეგად პირდაპირი გზით მიღებულ ფულად შემოსავლებს. აღნიშნული თეორია ცნობილია მოგება-ხარჯების ანალიზის სახელით და მისი მიზანია, განათლების გავლენის შეფასება შემოსავლების სიდიდეზე. ანალიზისთვის გამოყენებული იყო ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: წლოვანება, გამომუშავების, შემოსავლების დიფერენციაცია და სხვა.

1970-1980 წ.წ. განათლებისა და შემოსავლების კორელაციის კვლევის ტექნიკა უფრო დაიხვეწა და მან მოიცვა ისეთი შერეული ეფექტები, როგორიცაა: - ბუნებრივი ნიჭი, სამუშაოს სწავლება, ოჯახყრი გარემო და არზრდა, სკოლების ხარისხი და სხვ.

მიუხედავად ცალკეულ ეკონომისტთა მცდელობისა, ადამიანური კაპიტალის ერთიანი თეორია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებისთვის ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, ადამიანი და მისი საწარმოო პოტენციალი აქცია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად, სწორედ ეს გახდა ადამიანური კაპიტალის თეორიის დამუშავების პრაქტიკული წინამძღვრი.

უახლესმა კვლევებმა დიდი როლი ითამაშა, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მნიშვნელობის განსაზღვრაში, ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის, ასევე, განათლების მიღებასა და შემოსავლების გამომუშავებას შორის

კავშირის დადგენაში. თანამედროვე კვლევები განმარტავენ განათლების ზემოქმედების ხარისხს, სხვადასხვა სფეროების განვითარებაზე და ამდიდრებენ მოძღვრებას ადამიანის სოციალური და მატერიალური ღირებულების შესახებ.

1. 2. ადამიანური კაპიტალის როლი ბიზნესის განვითარებაში

ადამინური კაპიტალის როლი ბიზნესში განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების ერთობლიობით, ესენია: ადამიანის მიერ სამუშაოს შესრულების დროს გამოყენებული ცოდნა და უნარები (გონება), მის მიერ გაცნობიერებული ღირებულებები, რაც თავის თავში მოიცავს პატიოსნებას, კოლეგიალობას, პოზიტიურობა, მოტივაციას და საიმედოობას. ამასთანავე ის უნდა ფლობდეს ინფორმაციის შეგროვებისა და ცოდნის განახლების უნარს და უნდა შეეძლოს გუნდური (კოლექტიური) მუშაობა.

ეს ყველა კრიტერიუმი ადამიანური კაპიტალის მახასიათებელია, მაგრამ შეიძლება ადამიანი ფლობდეს ამ უნარებს, მაგრამ მისი ცოდნა და შესაძლებლობები არ წარმოადგენდეს კაპიტალს. აქ მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ თუ ეს ცოდნა და შესაძლებლობები ვერ იქნა ჩართული წარმოებისა დაა კვლავწარმოების პროცესში, მაშინ ის ვერ იქნება მზარდი ღირებულება, რომელმაც წარმოებას უნდა მოუტანოს შემოსავალი.

ადამიანური კაპიტალი სხვა სახის რესურსებისაგან განსხვავებულია და მას არ ახასიათებს მოპოვების ლიმიტირება, რაც დამახასითებელია მატერიალური თუ ბუნებრივი რესურსებისთვის. ადამიანის ინტელექტუალური აქტივობის შედეგად ხდება ადამიანური რესურსის, კაპიტალის დაგროვებაც და გენერირებაც.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად მატერიალურ, ბუნებრივ და ინტელექტუალურ რესურსებზეა დამოკიდებული და მათ შორის შრომას, ანუ ადამიანურ რესურს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ის წარმოების ფაქტორთა შორის ყველაზე უფრო ფასეულია, რამეთუ წარმოების ეფექტიანობა მთლიანად ადამიანური რესურსის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. კვლლიფიციური კადრის მიერ მაღალი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, არსებული საწარმოო რესურსების პირობებში,

ზრდის და აჩქარებს წარმოების პროცესს და უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნას.

შრომის მწარმოებლურობის მაღალი მაჩვენებელი კი, ქვეყნის ეროვნული წარმოებისა და ეროვნული შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს, გარდა ამისა, მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი ხელს უწობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გარანტიაა.

საქართველოს კანონმდებლობით, ადამიანურ რესურსებს (სამუშაო ძალას) განეკუთვნება შრომის ასაკში მყოფი შრომისუნარიანი მოსახლეობა: მამაკაცები 16-დან 65 და ქალები 16-დან 60 წლამდე.

„შრომითი რესურსების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი დაზოგვა, სათადარიგო დაგროვება და მოხმარების გარკვეული საჭიროების დადგომამდე მათი გადადება შეუძლებელია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და მისი შრომითი საქმიანობა დროის ერთსა და იგივე მონაკვეთში განიხილება, ცხადია შრომითი საქმიანობა თავისი ხანგრძლივობით სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ნაკლებია. ამიტომ, შრომის ეკონომიკისა და სოციალური დარგის სპეციალისტებს უმეტესად აინტერესებთ ადამიანის სიცოცხლის ისეთი პერიოდები, როგორიცაა შრომითი შესაძლებლობების ჩამოყალიბება, აყვავების ხანა და მილევა. ცნობილია, რომ საპენსიო ასაკამდე მიღწევის შემდეგაც კი ბევრი ადამიანი ინარჩუნებს შრომისუნარიანობას და განაგრძობს შრომით საქმიანობას“.[6] როდესაც საუბარია ადამიანურ რესურსზე და სამუშაო ძალაზე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სამუშაო ძალა ყველა ვერ საქმდება დროის გარკვეულ პერიოდში, ამიტომ ნებისმიერი ინდივიდი, რომელიც შედის სამუშო ძალაში, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „ადამიანური რესურსი“ და ამ შემთხვევაში გაცილებით სწორია ტერმინის -„ადამიანური პოტენციალის“ გამოყენება.

[6] ლ. ქურდაშვილი. ადამიანური კაპიტალის კომპონენტი ტრანსნაციონალური კომპანიების მართვაში.2017

ადამიანური, იგივე შრომითი პოტენციალის დახასიათება ხდება, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად. მის თვისობრივ მახასიათებელს განსაზღვრავს, ის ცოდნა და უნარები, ის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც მას გააჩნია.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, გაერომ შეიმუშავა ე.წ. მიერ შემოღებულია ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI). ამ სისტემის მიხედვით ქვეყნების ქვეყნების შედარება ხდება არა მათი ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, არამედ ადამიანთა შესაძლებლობების სრულყოფის დონის მიხედვით.

ამ ინდექსის განსაზღვრისას, გამოიყენება ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა ადამიანთა განათლების დონე, მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე. ის აერთიანებს ადამიანის შემოსვლების, განათლების, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს.

ქვეყნები, შეფასების შემდგომ იყოფიან უმაღლესი განვითარების, მაღალგანვითარებულ, საშუალო განვითარებულ და დაბალგანვითარებულ ქვეყნებად.

უმაღლესი განვითარების ქვეყნების პირველ სამეულს წარმოადგენენ ქვეყნები: ნორვეგია, ავსტრალია, ნიდერლანდები და მათი სარეიტინგო ქულა, შესაბამისად, 0,943; 0,929 და 0, 910-ია.

მაღალ განვითარებული ქვეყნების სიის სათავეში, კი ურუგვაი, პალაუ და რუმინეთია. მათი სარეიტინგო ქულა 0,8-ის ფარგლებშია.

საშუალოდ განვითარებულ ქვეყნეში პირველ სამ ადგილს ინაწილებენ: იორდანია, ალჟირი და შრი-ლანკა. მათი სარეიტინგო ქულები 0,68-ის ფარგლებში მერყეობს.

დაბალგანვითარებული ქვეყნების სიის სათავეში არიან: სოლომონის კუნძულები, კენია, მათი სარეიტინგო ქულები -0, 509-ის ფარგლებშია.

2011 წლის მონაცემებით, 187 ქვეყნის სიაში, საქართველო 75-ე ადგილს იკავებდა და ის მაღალგანვითარებული ქვეყნების ბლოკშია გაერთიანებული. ამ მაჩვენებლით ის, მცირედით უსწრებს უკრაინას და 11 ადგილით სასომხეთს. (იხ. გრაფიკი).



2018 წელს, საქართველომ (HDI) ინდექსი 0. 786-მდე გააუმჯობესა და რეიტინგში 5 ადგილით ზევით გადაინაცვლა.

ინდივიდები ხშირად არ არიან მზად, საკუთარი ბუნებრივი მონაცემები, ნიჭი, ცოდან და უნარები, მაღალ შემოსავლიან კაპიტალად აქციონ და ამის მიზეზი ძირითადად პიროვნების სოციალური მახასიათებლები და მენტალობა შეიძლება აღმოჩნდეს.

მსოფლიო ბანკის მიერ 192 ქვეყანაში განხორციელებული კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ საშუალოდ, ქვეყნების ეროვნული დოლათის 16 პროცენტს ფიზიკური კაპიტალი, 20 პროცენტს ბუნებრივი და 64 პროცენტს კი, ადამიანური კაპიტალი შეადგენს. ამავე კვლევის შედეგად განსხვავებულია მაღალგანვითარებული ქვეყნების მონაცემები. იაპონიაში, გერმანიასა და შვედეთში ადამიანური კაპიტალის წილი 80 პროცენტამდე აღწევს. ეს მონაცემები იმის დასტურია, რომ რაც უფრო მაღალია ინტელექტუალური კაპიტალის დონე, მით უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყნის ეკონომიკა.

ადამიანური კაპიტალში, მასში განხორციელებულ ინვესტიციებს გადააქცევს მომგებიან ეკონომიკურ პროექტებად, სწორედ ამიტომ, სახელმწიფოსა და კორპორაციების

მხრიდან ინტელექტუალური ინვესტიები (კაპიტალდაბანდებები) მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე კონკრეტული კორპორაციის განვითარებისათვის.

კაპიტალდაბანდება ადამიანურ კაპიტალში, ეს არის ინვესტორის მიზანი მიიღოს რაიმე სახის სარგებელიან საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის.

ამასთანავე, ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება არ გულისხმობს მხოლოდ ცოდნის მოცულობის გაზრდას. მასში ასევე მოიაზრება ამ ინტელექტის გამოყენების უნარი მუდმივად ცვალებად გარემოში.

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ძალის პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას. ის წარმოადგენს საშუალებას, წარმოების პროცესში ადამიანური რესურსის ადაპტაციისათვის. პროფესიული გადამზადებები კი, ინდივიდებს საშულებას აძლევს შეიძინონ ცოდან ახალი და პერსპექტიული მიმართულებებით, იმ სფეროებში, სადაც შრომის ბაზარზე მეტი მოთხოვნაა.

სწავლების პერიოდში ადამიანებს გარდა პირდაპირი დანახარჯებისა, რომელიც თავისთავში სწავლის დანახარჯებს მოიცავს, აქვთ, ასევე ალტერნატიული დანახარჯებიც, იმ დროისა და შესაძლებლობების ჩათვლით, რომელზეც სწავლის და განათლების გამო თქვეს უარი.

“ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის დასაანგარიშებლად აუცილებელია იმ სარგებლის მომავალი თანხების პროგრესიული დისკონტირება. დისკონტირება კი წარმოადგენს მომავლის ნებისმიერი სარგებლის (შემოსავალთა ნაკადების) თანხების მოყვანილი ღირებულებების შეკრებას, მიმდინარე ღირებულებაში მის წარმოსადგენად.

ადამიანურ კაპიტალში დაბანდებების დისპერსია დიდია, მაგრამ მართვადი. არსებობს მეთოდები, რომლებიც ამცირებენ მას და ისინი საკმაოდ კარგადაა ცნობილი: მოსწავლეების (ანუ ინვესტიციის ობიექტების) საკმაოდ ყურადღებიანი და

დაწვრილებითი გადარჩევა გამოცდების, წინასწარი გასაუბრებისა და სპეციალური ტესტირების საფუძველზე, სტაჟირების ორგანიზაცია და სხვა”.[7]

ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების მომგებიანობის შეფასება ეყრდნობა ინდივიდის პროფესიული ფასეულობის დადგენას, რომელიც არ არის მუდმივი სიდიდე და ის შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცვლება დროში. ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური კაპიტალი, ძირითადი კაპიტალის მსგავსად, განიცდის დროში როგორც მორალურ, ასევე ფიზიკურ ცვეთას. თუმცა, ინტელექტუალური კაპიტალის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის შეიძლება იზრდებოდეს დროში დამატებითი ინვესტიციების გარეშეც.

“ ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების და ეკონომიკის მნიშნელოვან აქტივს და ინოვაციური აქტივიზაციის ფაქტორს. ეროვნული ადამიანური კაპიტალი პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე, ეკონომიკური პარამეტრების ზრდაზე და კონკურენტუნარიანობის დონეზე, მოიცავს ცოდნისა და უნარების მარაგს, რაც დაგროვდა ინდივიდუალური ადამიანური, საგანმანათლებლო, და სამეცნიერო პოტენციალის საფუძველზე, მას შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის კეთილდღეობა, ეკონომიკური სტაბილურობა და ზრდა, ინოვაციური განვითარება და კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე“.[8]

[7] w.w.w://www.businessdictionary.com/definition/intellectual-capital.html

[8] ი. მუჯირი. ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია. 2016

თავი II. გლობალიზაცია, ცოდნის კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა

2.1. გლობალიზაციის გავლენა ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე

მსოფლიო გლობალური ეკონომიკის განვითარების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ცალკეულ ქვეყნებში ინტელექტზე ორიენტირებული ეკონომიკისა და ადამიანური კაპიტალის, მნიშვნელობის ზრდა თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში.

ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს და ის, თავისი კრეატიულობისა და ინოვაციების შექმნის შესაძლებლობებით, მასზე უფრო და უფრო მზარდი ხდება მოთხოვნა თანამედროვე საზოგადოებაში. თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელობას იძენს ისეთი გლობალური ფაქტორების კვლევა, რომელიც უშუალოდ ადამიანურ კაპიტალს უკავშირდება. ასეთბია: მეცნიერება და ტექნოლოგიური ცოდნა; მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები; ინოვაციები და ნოუ-ჰაუები; განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია; ჯანმრთლობა, მოტივაცია და სხვ.

გლობალიზაციის პროცესი ახდენს ადამიანური და ინტელექტუალური კაპიტალის გადაადგილებას, იქ სადაც მასზე მოთხოვნაა და ხდება მათი დაგროვება (აკუმულირება) იმ ქვეყანაში, რომელსაც შესწევს უნარი ამ კაპიტალის კვლავწარმოებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა, შესაბამისად, ეს პროცესი, ცვლის ადამიანური კაპიტალის ეროვნულ ხასიათს და მასში გლობალურ მენტალობას აყალიბებს. შესაბამისად, გლობალიზაციის პირობებში საჭიროა მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს გლობალურ საგანმანათლებლო პროცესებს, მეცნიერებასა და უმაღლეს განათლებას, რაც ინოვაციური განვითარების, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გლობალიზაცია დღის წესრიგში აყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და ცოდნის გავრცელებას ქვეყნიდან ქვეყნებში. ამ გამოწვევის პირობებში თითოეული ქვეყნის ამოცანა უნდა იყოს საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია და მისი ადაპტაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ახალ ტექნოლოგიებს ახალი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ესაჭიროებათ.

საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსით მსოფლიოში მე-19 ადგილზეა, ხოლო ზოგადად, გლობალიზაციის დონით – 63-ზე.

„ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 191 ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმს ეფუძნება. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმებით განისაზღვრება. ჩვენ ყურადღებას ძირითადად ეკონომიკურ გლობალიზაციაზე გავამახვილებთ. 2010 წელს აშშ-ის ადამიანური კაპიტალის ღირებულებამ 95 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 77%-ია. მსოფლიო ადამიანური კაპიტალის 26% მოდის აშშ-ზე (მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი ნაკლებია და 20%-ს შეადგენს), რუსეთზე - 8%, ჩინეთზე - 7%, ბრაზილიასა და ინდოეთზე - 2-2%, ევროკავშირის ქვეყნების წილი კი 57%-ია. მსოფლიო ადამიანური კაპიტალი შეადგენს მსოფლიო სიმდიდრის 67%-ს. ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის შეადგენს 30%-ს, რუსეთისთვის - 50%-ს. უმეტესი ქვეყნებისათვის ადამიანური კაპიტალი აღემატება ეროვნული სიმდიდრის ნახევარს (გარდა ოპეკ-ის ქვეყნებისა)[9].

ქვეყნების სოციალურ ეკონომიკური განვითარება და კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანური კაპიტალის დონეზე.

რაც უფრო კონკურენტუნარიანია ადამიანური კაპიტალი, მით უფრო ინტენსიურია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, დასაქმების დონე და ინოვაციური დარგების განვითარების ტემპი და შესაბამისად, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, შემოსავლებისა და განათლების დონე, ინტელექტი და ზოგადად ადამიანის კეთილდღეობის ინდექსი.

რაც უფრო ღრმაა ეკონომიკური გლობალიზაცია, მით უფრე მწვავედ დგას ამა თუ იმ ქვეყნის, დარგის, კომპანიის და ინდიდივიდის კონკურენტუნარიანობის საკითხი.

[9] მერაბ ჯულაყიძე. ადამიანური კაპიტალის გავლენა ეკონომკურ განვითარებაზე. 2016

ქვეყნების ინოვაციური პოტენციალი ადამიანური რესურსის და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების უშუალო მონაწილეობით ყალიბდება, სწორედ ამიტომ ადამიანური კაპიტალი მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. ის ეროვნული სიმდიდრის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და პირდაპირ დამოკიდებულებაშია მასში განხორციელებული ინვესტიციების სიდიდეზე. ინოვაციური ეკონომიკა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტები ადამიანური კაპიტალის ინტელექტუალური შრომის პროდუქტია, ამიტომ გლობალიზიაციის პირობებში, სახელმწიფომ ჯერ ეროვნულ დონეზე უნდა დაიწყოს ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომ მაღალტექნოლოგიურმა საწარმოებმა შესძლონ ინტელექტუალური კაპიტალის მაქსიმალურად ეფეტიანად გამოყენება და ათვისება, ქვეყნის შიგნით ინტეგრაცია შემდგომში, მათი კომერციალიზაციის მიზნით. ამისათვის სახელმწიფომ უნდა:

- **მხარი დაუჭიროს ინოვაციურ საქმიანობას;**
- **უზრუნველყოს მაკროეკონომიკური წონასწორობა;**
- **იზრუნოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე;**
- **იზრუნოს ადამიანების, საზოგადოების კრეატიული იდეების განვითარებაზე;**
- **მოახდინოს განათლების სისტემის ადაპტაცია გლობალური ეკონომიკის პირობებში ბაზრის მოთხოვნებთან;**
- **დახარჯოს რაც შეიძლება მეტი განათლებასა და მეცნიერებაზე.**

2.2. ინტელექტუალური (ცოდნის) კაპიტალისა და განათლების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

რა არის ცოდნა? ცოდნა ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის შედეგების შენახვისა და სისტემატიზაციის ფორმაა. ცოდნის საშუალებით, ხდება ინდივიდის საქმიანობის რაციონალური ორგანიზება და ამ პროცესში წარმოშობილი სხვადასხვა პრობლემების გადაჭრა.

ინტელექტი პროდუქტია ერთის მხრივ, შესაძლებელია მისი მითვისება, ხოლო, მეორეს მხრივ, კი საზოგადოებრივი - ყველას საკუთრება. მისი გაზომვა შეიძლება, როგორც მის წარმოებაზე დახარჯული რესურსებით, ასევე, გაყიდული ცოდნის საბაზრო ღირებულებით. დანახარჯები მოიცავს კვლევასა და შემუშავებას, უმაღლეს განათლებასა და პროგრამულ უზრუნველყოფას.

ცოდნის დიდი ნაწილი საზოგადოებრივი საკუთრებაა და თანაც, არა ნაციონალური, არამედ საერთაშორისო საკუთრება.

ტერმინი **„ცოდნის ეკონომიკა"** გამოიყენება ეკონომიკის იმ ტიპის განსაზღვრისთვის, სადაც ცოდნა გადამწყვეტ როლს თამაშობს, ხოლო ცოდნის წარმოება ეკონომიკური ზრდის მთავარი წყაროა.

დღეს ცოდნაში ინვესტიციები გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე ძირითად ფონდებში.

მსოფლიო საზოგადოების მიერ მოპოვებული ცოდნის **90%** XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა . ეს ციფრები იმაზე მეტყველებს, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული ეკონომიკა ცოდნის ეკონომიკაზე გადადის.

ცოდნის ეკონომიკა განიხილება, როგორც გლობალური ეკონომიკის განვითარების უკანასკნელი სტადია. განვითარებულმა სამყარომ რამდენიმე საფეხური გაიარა:

- **სასოფლო – სამეურნეო ეკონომიკა;**
- **სამრეწველო ეკონომიკა;**
- **პოსტსამრეწველო ეკონომიკა;**
- **ცოდნის ეკონომიკა.**

ცოდნა ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობს. იგი აჩქარებს და აღრმავებს განვითარების პროცესებს.

ცოდნა და ინოვაცია საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი რესურსი ხდება. ყველანაირი ინტელექტი, მათ შორის, ყველაზე ტრადიციულიც, შეიძლება გამოვიყენოთ. ამავე დროს, საჭიროა უფრო მეტი ინვესტირებაც თანამედროვე ტექნოლოგიებში, რომ ქვეყანა გლობალური ეკონომიკის ნაწილი გახდეს.

ტერმინი "ცოდნის ეკონომიკა" შეიძლება ნიშნავდეს:

- ცოდნის ეკონომიკას, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის წარმოებასა და მენეჯმენტზე ან
- ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, რაც გულისხმობს ცოდნის ტექნოლოგიების (ცოდნის ინჟინერია და ცოდნის მენეჯმენტი) გამოყენებას ეკონომიკური სარგებლისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ამ ტერმინის დამკვიდრება **პიტერ დრუკერის** (1909–2005) დამსახურებაა, იგი გავლენიანი მწერალი იყო და ამავდროულად, იყო კონსულტანტიც მენეჯმენტის საკითხებში. პირველად ეს ტერმინი გვხვდება 1966 წელს გამოცემულ წიგნში "წარმატებული ხელმძღვანელი".

თავის ნაშრომში პიტერი აღწერს განსხვავებას ხელით მომუშავეთა (manual worker) და ცოდნით მომუშავეთა **(knowledge worker)** შორის. პირველი მათგანი საკუთარი ხელებით აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, ხოლო მეორე – საკუთარი თავით მუშაობს და ქმნის იდეებს, ცოდნასა და ინფორმაციას.

ცოდნის ეკონომიკის ზემოხსენებულ ორ მნიშვნელობას შორის ძირითადი სხვაობა ის არის, რომ ცოდნის ეკონომიკაში ცოდნა პროდუქტია, ხოლო ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში – ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს, წარმოების საშუალებას, ინსტრუმენტს (იარაღი). თუმცა, ეს განსხვავება ჯერ კიდევ ორაზროვანია ეკონომიკურ ლიტერატურაში. ორივე მნიშვნელობა ინტერდისციპლინარულია, მათში ჩართულნი არიან

ეკონომისტები, კომპიუტერული მეცნიერების წარმომადგენლები, ინჟინრები, მათემატიკოსები, ფსიქოლოგები და ა.შ.

ცოდნის ეკონომიკა შეიძლება ასე განვმარტოთ: "ის ხელს უწყობს ცოდნის შექმნას ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ და ეხმარება და წაახალისებს მათ, საკუთარი ცოდნა უკეთ გამოიყენონ და გადასცენ სხვებს კომპანიის/ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად".

ცოდნის გამოყენება თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ზრდის ძირითად წყაროდ არის მიჩნეული. ცნება "ცოდნის ეკონომიკა" ცოდნის ამ გაზრდილ მნიშვნელობას ასახავს. ორგანიზაციები და ადამიანები ინტენსიურად იძენენ, ქმნიან, განავრცობენ და იყენებენ ინტელექტუალურ კაპიტალს წარმატებული ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

"ცოდნის რევოლუცია" მრავალგვარად ვლინდება: მეცნიერებისა და ტექნიკის სულ უფრო მჭიდრო კავშირი; ინოვაციის მზარდი მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობისთვის; განათლებისა და უწყვეტი განათლების მზარდი მნიშვნელობა; არამატერიალური ინვესტიციების (კვლევა და შემუშავება, პროგრამული უზრუნველყოფა) ზრდა, რომელიც უძრავ კაპიტალში ინვესტიციებზე გაცილებით დიდია, და ბოლოს, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ე.წ. ICT, რომელსაც მსოფლიო მასშტაბის ურთიერთდამოკიდებულება და კავშირი მოაქვს.

ინტელექტუალური კაპიტალის გაზრდილი მნიშვნელობა ქვეყნებს ეროვნული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების მეტი პოტენციალით უზრუნველყოფს, რადგან საქონლისა და მომსახურების წარმოების უფრო რაციონალურ გზებს სთავაზობს, საშუალებას აძლევს უფრო ნაკლები დანახარჯებით აწარმოონ პროდუქცია და უფრო მეტ მომხმარებელს შესთავაზონ. აღსანიშნავია, ისიც, რომ არსებობს **"ცოდნის განაწილების"** საფრთხეც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, იქმნება ცოდნის უდიდესი ნაწილი, ხოლო **განვითარებადი** ქვეყნებისთვის ამ ცოდნის დიდი ნაწილი მიუწვდომელია შეზღუდული ცოდნის, ეკონომიკური სტიმულების სუსტი რეჟიმისა და სუსტი ინსტიტუტების გამო.

სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან ერთად ცოდნის რევოლუციას მივყავართ გლობალიზაციის განმტკიცებასა და საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერებასთან, რაც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას ტოვებს ბუნებრივი რესურსების გარეშე და შრომის დაბალი ანაზღაურების იმედად.

ამრიგად, ცოდნის რევოლუციის სარგებელი რომ გამოიყენონ, კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობის ასამაღლებლად, განვითარებადი ქვეყნები:

- **საკუთარ ძლიერ მხარეებს უნდა დაეყრდნონ;**
- **ყურადღებით დაგეგმონ შესაბამისი ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში;**
- **ეფექტიან ინსტიტუტებში;**
- **შესაბამის ტექნოლოგიებში და ინოვაციურ და კონკურენტულ საწარმოებში.**

იმის მაგალითად, რომ სწრაფი პროგრესი შესაძლებელია, შეიძლება გავიხსენოთ **კორეა, ირლანდია, მალაიზია და ჩილე.**

მსოფლიო ბანკი ქვეყნებს ცოდნის ეკონომიკაზე, ანუ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე (მეორე მნიშვნელობა) გადასვლისათვის ოთხ ძირითად პირობას გვთავაზობს:

- **ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და ახალი ცოდნის ეფექტური გამოყენებისა და მეწარმეობის განვითარების სტიმულებს;**
- **განათლებული და შესაბამისი უნარ–ჩვევების მქონე მოსახლეობა, რომელსაც შეუძლია შექმნას, გაუზიაროს და კარგად გამოიყენოს ცოდნა;**
- **ფირმების, კვლევითი ცენტრების, უნივერსიტეტების, ანალიტიკური ცენტრების, კონსულტანტთა და სხვა ორგანიზაციების ეფექტიანი ინოვაციური სისტემა, რომელსაც შეუძლია გლობალური ცოდნის მზარდ ფონდში მონაწილეობა, მისი მორგება ადგილობრივ საჭიროებებზე და ახალი ტექნოლოგიების შექმნა;**
- **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ე.წ. ICT, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ინფორმაციის ნაყოფიერ კომუნიკაციას, გავრცელებასა და გადამუშავებას.**

განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანებში ცოდნის ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭიროა ადექვატური პოლიტიკის, ინსტიტუციების, ინვესტიციების და კოორდინაციის შემუშავება ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ძირითად სფეროს შორის.

ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია მსოფლიო ბანკის პროგრამის "ცოდნა გავითარებისთვის", მიერ შექმნილი ინსტრუმენტია, რომელიც ქვეყნებს ეხმარება ზუსტად განსაზღვრონ, მათ წინაშე ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში თანმხლები სირთულეები და შესაძლებლობები. ეს ხდება 145 ქვეყნისათვის ცოდნის ეკონომიკის ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. პროგრამის ფარგლებში ასევე შემუშავებულია ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და ცოდნის ინდექსი.

რას აღნიშნავს თითოეული მათგანი?

ცოდნის ინდექსით (ცი) ზომავს ქვეყნის უნარს - შექმნას, აითვისოს და განავრცოს ცოდნა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ცოდნის ინდექსი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია ცოდნის ეკონომიკის სამი ძირითადი მიმართულების მიხედვით:

- განათლება და ადამიანური რესურსები;
- ინოვაციათა სისტემა და
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით (ცეი) ასახავს, რამდენად ხელშემწყობია გარემო იმ ცოდნისთვის, რომელიც ეკონომიკური განვითარებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ის ერთობლივი ინდექსია, რომელიც გამოხატავს ქვეყნის მთლიანი განვითარების დონეს ცოდნის ეკონომიკის მიმართულებით. ის გამოითვლება ცოდნის ეკონომიკის ოთხი ძირითადი საყრდენის მიხედვით:

- ეკონომიკური სტიმულები და ინსტიტუციონალური რეჟიმი;
- განათლება და ადამიანური რესურსები;
- ინოვაციათა სისტემა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ახდენს თუ არა განათლება გავლენას ეკონომიკის ზრდაზე? ეს კითხვა მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერებისთვის, ასევე პოლიტიკური საზოგადოებისათვის. ზოგადად, არსებობს კონსენსუსი, რომელიც ამ საკითხზე გარკვეული დაგროვილი

ცოდნიდან გამომდინარეობს- ყველა თანხმდება, რომ განათლებას აქვს უდიდესი გავლენა ეკონომიკაზე.

უფრო ფართო განხილვის საგანია, ის თუ კონკრეტულად, რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას. **ნაშრომის** მიზანი სწორედ ის, არის რომ გაანალიზოს ფაქტორები რომელიც უშუალოდ მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყნაში ეკონომიკის ზრდაზე.

მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს, რაც უშაუალოდ ახდენს გავლენას არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების წარმატებებზე, არამად მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. პოსტ -მოდერნულ საზოგადოებაში, ყველაზე ხშირად დასახელებულ ფაქტორებს შორის, არის შემდეგი :

- განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარებაზე, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ზრდას.
- ინტელექტუალური სამუშაო ძალა უფრო ადვილად ითვისებს მოწინავე ტექნოლოგიებს, ამიტომ ისინი არიან მეტად პროდუქტიულები (Nelson and Phelps.1966)
- განათლებას შეუძლია გაზრადოს ინოვაციის პოტენციალი - შექმნას ახალი ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, რაც შემდგომში, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას
- მიუხედავად ზემოაღნიშნული თეორიული პოსტულატებისა, ერთმნიშვნელოვანი მტკიცება იმისა, რომ განათლება გავლენას ახდენს ეკონომიკაზე დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა. პრობლემა იყო ის, თუ როგორ უნდა გაეზომათ არსებობდა თუ არა კორელაცია, განათლების დონესა და ეკონომიკურ ზრდას შორის, რთული იყო, ამ კუთხით, ქვეყნების ერთმანეთთან შედარებაც.
- საბოლოოდ, მეცნიერემბა (Krueger and Lindahl, 2001) შექმნეს ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სასკოლო წლების შედარებას ეკონომიკურ ზრდასთან.

მეცნიერული დასაბუთება

მსგავი გაზომვით მიიღეს ასეთი შედეგი:

საშუალოდ, ერთი დამატებითი განათლების წლიდან ამონაგები 10 პროცენტზე მაღალი აღმოჩნდა; ამონაგები განათლებაზე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქვეყნების

განვითარების დონეების მიხედვით და იგი ყველაზე მაღალი დაბალშემოსავლიან, ყველაზე დაბალი კი მაღალშემოსავლიან ქვეყნებში აღმოჩნდა.

განათლებაზე ინვესტიციებიდან ამონაგებზე, სხვა საქონლისა და მომსახურების მსგავსად, მოქმედებს მიწოდების ზრდაც და შესაბამისად, განათლების საშუალო დონის ზრდასთან ერთად, კლება ფიქსირდება ამონაგებშიც. თუმცა, ეს მიგნება ყველა ქვეყანაზე თანაბრად არ ვრცელდება. მაგალითისთვის, კვიპროსში განათლების ერთი დამატებითი წლიდან ამონაგები 1984 წელს 11% 1994 წელს კი 5% იყო, ავსტრიაში 1981 წლიდან 1993 წლამდე 12%- დან 7 %-მდე დაეცა (Psacharopoulos & Partinos, 2004),[10] მაგრამ ჩეხეთში იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 3%-დან 9%-მდე გაიზარდა. აშშ-ში, მიუხედავად მოსახლეობის განათლების დონის ზრდისა, იმატებს განათლებიდან ამონაგებიც. 1976 წელს განათლების დამატებითი წლიდან ამონაგები 7.5% იყო, 1995 წელს კი – 10%-მდე გაიზარდა (Psacharopoulos, 2000)[11].

სასკოლო წლების მიხედვით განათლებისა და ეკონომიკური ზრდის გაზომვა არ აღმოჩნდა სრულყოფილი და მას უამრავი ხარვეზი ჰქონდა. განათლების ეკონომიკური ეფექტის კვლევები და თეორიები აჩვენებს, რომ განათლების ეკონომიკური სარგებლის სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელია სხვადასხვა სოციალური ფაქტორებისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე.

ყველასათვის ცხადია, რომ განაში და ფინეთში სკოლის მოსწავლეები ერთი და იგივე ხარისხის ცოდნას ვერ მიიღებენ, მიუხედვად იმისა, რომ სასკოლო წლების რაოდენება თანაბარი იქნება. გარდა ამისა, განათლება მხოლოდ სკოლებს არ უკავშირდება, აქ სხვა ფაქტორების შემოდის, მაგალითად, მშობელთა სატატუსი, სოციალური წრე, კულტურა. ამ ფაქტორების უგულებელყოფა ნიშნავდა, რომ კვლევებიდან გამომდინარე დასკვნები არ იყო ვალიდური.

განათლების ეკონომიკური ეფექტის გასაზომად მეცნიერებმა დაიწყეს ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ძიება და სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა

[10] Psacharopoulos & Partinos, 2004

[11] Psacharopoulos, 2000

(ჰანუშეკი და უოსემანი) შემოიღეს ახალი მეთოდი ეს იყო განათლების ხარისხის შედარება ეკონომიკურ ზრდასთან, ქვეყნების მიხედვით. განათლების ხარისხის გასაზომად გამოიყენეს **TIMSS -ის და PISA-ს** ტესტები.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა განათლების ხარისხის უნივერსალური საზომი, შექმნა, მეცნიერებს საშუალება მიეცათ, მოეხდინათ დაკვირვება ქვეყნებზე, მათ აღმოაჩინეს ძალიან საინტერესო კორელაცია განათლების ხარისხსა და ეკონომიკურ პროგრესს შორის. მათმა დაკვირვებამ დაადგინა, რომ მაღალი ტესტის შედეგები ნიშნავდა ეკონომიკური ზრდის შესაბამის გამოხატულებას მშპ-ს პროცენტებში. შემდგომმა კვლევებმაც ეს მიგნება დაადასტურა.

თანამედროვე მიგნებები, ერიკ ჰანუშეკს და უოსემანს ეკუთვნის მათ გაანალიზეს გრძელვადიანი პერიოდი. (1960-2000 წლები) კვლევაში გამოიყენეს 50 ქვეყანის მონაცემები. მათ სურდათ, უფრო ზუსტად დაენახათ ის კორელაცია, რომელიც არსებობს, განათლების დონის ზრდასა და ეკონომიკურს ზრდას შორის. ამ შემთხევაში მოახდინეს გარე ფაქტორების და სხვდასხვა ცვალადების მინიმიზაცია.

ზემოაღნიშნული კვლევებმა შესაძლებელი გახადა იმის კვლევა, თუ როგორ გამოიყენება ან როგორ კონვერტირდება ინტელექტუალური კაპიტალი ბიზნესში ღირებულებისა და მოგების სახით?

ცოდნა, **ინტელექტუალური კაპიტალის** ფორმით არის არამატერიალური რესურსია და მისი მეშვეობითაც ორგანიზაციაში იქმნება ახალი ღირებულება. ინელექტუალური კაპიტალის დამსახურებაა, წარმოების პროცესში ახალი პროდუქტის, ახალი პროცესების და ინოვაციური მომსახურების შექმნა.

ინტელექტუალური კაპიტალი გამოიხატება უნარეში - შეასრულოს სამუშაო, ცოდნაში და სამუშაო პროცესის ორგანიზებაში. ის არის ცოდნის და სხვადასხვა უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საზოგადოების და ცალკეული ინდივიდების და მთლიანად მრავალმხრივი, სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მსგავსად მატერიალური აქტივებისა, მასაც შეუძლია მოგების მოტანა. ბიზნესი, იმისათვის, რომ მიეღო რაც შეიძლება, მაღალი მოგება, საკუთარ მატერიალურ რესურსთან ერთად, ყოველთის ეყრდნობოდა ინტელექტუალურ რესურსებსაც.

მაშინ, როდესაც ეროვნული სისმდიდრის 60 პროცენტამდე ადამიანური კაპიტალის მეშვეობით იქმნება, ჭკვიანი დამსაქმებელი ცდილობს, ხარჯების გარკვეული ნაწილი თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას მოახმაროს.

სტატისტიკის მიხედვით, ამერიკულმა კომპანიებმა სახელფასო ფონდის 7 პროცენტამდე, საკუთარი თანამშრომლების გადამზადებას მოახმარეს, ვინაიდან გაცნობიერებული აქვთ, რომ ინტელექტუალური ინვესტიცია კაპიტალდაბანდების ყველაზე ხელსაყრელი სფეროა. სტევარტის კვლევებით, 80-ია წლებამდე საწარმოში მატერიალური და ინტელექტუალური კაპიტალის ფარდობა 80/20 - ზე იყო, მეოცე საუკუნის დასასრულს ეს მაჩვენებელი 70/30-ით, ხოლო 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში უკვე 60/40 -ით შეიცვალა (იხ. სქემა).



მნიშვნელოვანია ინტელექტუალური კაპიტალის ფუნქციის განხილვა მაკროდონეზე რადგან ის შეადგენს ეროვნული სიმდიდრის დიდ ნაწილს.

სურათი -საქართველოს შედეგები ინოვაციების გლობალური ინდექსი.



თავი III. კვლევის დიზაინი და ტექნიკურ-შინაარსობრივი მხარე

3.1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

არსებობს სოციოლოგიური გამოკვლევის ორი ტიპი - რაოდენობრივი და თვისობრივი.

თვისობრივი კვლევის მეთოდის დანიშნულებაა, გამოავლინოს, რა საგნები ან მოვლენები არსებობს, ხოლო რაოდენობრივი კვლევა ადგენს, თუ რამდენი საგანი ან მოვლენაა.

სამაგისტრო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვლევის წარმართვა, ვერ მოახდენდა საკვლევი პრობლემის ზუსტად იდენტიფიცირებას, ამიტომ შერჩეული იქნა კვლევის თვისობრივი მეთოდი.

კვლევის თვისობრივი მეთოდის განხორციელებისათვის გაამოიყენება ინტერვიურება. ამ მეთოდის გამოყენებისას, საჭირო არ არის რესპოდენტთა მრავალრიცხოვნობა, თუმცა, სიღრმისეული ინტერვიურებით მაინც ხდება მდიდარი და მრავალფეროვანი მონაცემების შეგროვება.

სიღრმისეული ინტერვიუ, ინტერვიურების გავრცელებული საშუალებაა. „თანამედროვე დასავლურ საზოგადოებას, დღევანდელ საზოგადოებას, რიგი მკვლევრებისა "ინტერვიუს საზოგადოებას" უწოდებს მოსახლეობის ინტერვიურების სხვადასხვა ფორმა იმდენადაა გავრცელებული, რომ ინტერვიუ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. არსებობს ინტერვიუს მრავალი სახეობა; მათ შორის გვხვდება ისეთები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საყოველთაო აღწერაც და ჟურნალისტური პრესკონფერენციაც ინტერვიუს ნაირსახეობებია."[12]

თავისი სტრუქტურისა და კითხვების ტიპიდან გამომდინარე, ინტერვიუ შეიძლება იყოს სტრუქტურირებული;

სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა და ნაწილობრივ, სტრუქტურირებული ინტერვიუების

[12] (ლია წულაძე. 2008. რაოდენობრივი კვლევის მეტოდები სოციალურ მეცნიერებებში. გვ.7)

რიცხვს განეკუთვნება, ანუ იკავებს შუალედურ პოზიციას სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ ინტერვიუებს შორის. როგორც ამ მეთოდის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი რობერტ ვაისი აღნიშნავს, სიღრმისეულ ინტერვიუს მრავალი სახელით მოიხსენიებენ, რომელთა შორისაა: "თავისუფალი ინტერვიუ", "ნარატიული ინტერვიუ", "ფოკუსირებული ინტერვიუ", "ბიოგრაფიული ინტერვიუ" და სხვ.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი კითხვა იყო -ადამიანური კაპიტალის როლის განსაზღვრა ეკონომიკისთვის. ამ კითხვაზე პ პასუხის გასაცემად, გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის პროცესმა, რამდენიმე ეტაპი გაიარა:

პრობლემების იდენტიფიცირება;

კვლევის კითხვების შერჩევა;

სამიზნე ჯგუფის შერჩევა;

კვლევის პერიოდის განსაზღვრა.

კვლევის სამიზნე ჯგუფში განისაზღვრა, იმ პირთა გამოკითხვა, რომელიც თავისი საქმიანობით, უშუალოდ უკავშირდებიან წარმოებისა და მომსახურების პროცესს.

ჯგუფის შემადგენლობაში მოიაზრებოდა, როგორც წარმოების მმარალი რგოლის წარმომადგენლები, ასევე დაბალ საფეხურზე დასაქმებულები სხვადასხვა სფეროდან..

სამიზნე ჯგუფის ამგვარად შერჩევის მიზანი გახლდათ, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების, ასევე შესაძლებლობებისა და პერსპექტივების სხვადასხვა პოზიციიდან დანახვა.

თვისებრივი კვლევის გამოყენება განაპირობა იმ ფაქტორმა რომ კვლევის მიზანს წარმოადგენს სიღრმისეული ინფორმაციის მიღება, რაც რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში ვერ მოხდებოდა.

სიღრმისეული ინტერვიურება მოხდა შემდეგ რესპოდენტებთან:

-საწარმო „კულას" მაღალი რგოლის მენეჯერი;

-საწარმო „კულას" მუშა;

-განათლების რესურსცენტრის წარმომადგენელი;

-საჯარო სკოლის დირექტორი;

-მასწავლებელი;

-სამშენებლო კომპანია -„ბალა ჰაუსუს“ წარმომადგენელი;

-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშა;

-სოფლის მეურნეობაში დასაქმებული -თვითდასაქმებული.

ინტერვიუების მეშვეობით პასუხები გაეცა შემდეგ კითხვებს:

- რა სახის განათლება გაქვთ მიღებულიდა გსურდათ თუ არა მეტი განათლების მიღება?
- ხართ თუ არა დასაქმებული პროფესიის მიხედვით?
- როგორ ფიქრობთ, პროფესიის არქონა უშლის თუ არა ინდივიდს სამსახურის შოვნაში ხელს?
- რამდენად ხდება დღეს დასაქმებულის ანაზღაურების განსაზღვრა მისი კვალიფიკაციის მიხედვით?
- რამდენად საკმარისია დღეს კვალიფიციური კადრი?
- რამდენად პასუხობს განათლების სისტემა შრომის ბაზრის მოთხოვნებს?
- რამდენად უწყობს დღეს სახელმწიფო პოლიტიკა ხელს, განათლების სისტემის განვითარებას?
- ბევრი კვალიფიციური ადამიანი ნიშნავს თუ არა ქვეყნის ეკონომიკის წარმატებას?

- **პირველ კითხვაზე -რა სახის განათლება გაქვთ მიღებული?**

რესპოდენტთა ნაწილს ჰქონდა უმაღლესი განათლება და ნაწილს მხოლოდ ზოგადი და პროფესიული. მათი აბსოლუტური უმრავლესობის სურვილია, მიიღონ უფრო მეტი განათლება და კვალიფიკაცია.

კითხვაზე -ხართ თუ არა დასაქმებული პროფესიის მიხედვით? რესპოდენტთა ძირითადი ნაწილის პასუხი იყო უარყოფითი.

- **კითხვაზე** -როგორ ფიქრობთ, პროფესიის არქონა უშლის თუ არა ინდივიდს სამსახურის შოვნაში ხელს? -რესპოდენტთა პასუხები სხვადასხვაგვარი იყო.

ნაწილი თვლის, რომ სამსახური სანაცნობო წრეზეა დამოკიდებული. ნაწილი ამბობს, რომ იმ პროფესიით მაინც ვერ დასაქმდა, რაშიც განათლება მიიღო.

ერთმა რესპოდენტმა, რომელიც პროფესიით არის დასაქმებული აღნიშნა, რომ მას ინსტიტუტში მიღებული განათლების გარდა მოუწია, ადგილზე რეალური პროფესიი შესწავლა და ის რაც ასწავლეს უმაღლესში, საერთოდ ვერ გამოიყენა წარმოებაში. თუმცა დიპლომის ქონა, მისთვის სამსახურის შოვნის ერთ-ერთი ინსტრუმენტი მაინც აღმოჩნდა.

კითხვაზე -რამდენად ხდება დღეს დასაქმებულის ანაზღაურების განსაზღვრა მისი კვალიფიკაციის მიხედვით? - რესპოდენტთა პასუხები გაიყო არა და დიახს შორის.

კითხვაზე - რამდენად საკმარისია დღეს კვალიფიციური კადრი? - მენეჯერულმა და ადმინისტრაციულმა რგოლმა უპასუხა, რომ არასაკმარისია. ქვედა რგოლის მუშაკებმა კი პირიქით, უპასუხეს, რომ სპეციალისტი ბევრია და ცოტა სამუშაო ადგილებია.

კითხვაზე -რამდენად პასუხობს განათლების სისტემა შრომის ბაზრის მოთხოვნებს? - ნაწილმა უპასუხა, რომ ვერ შეაფასებს, ნაწილმა კი უარყოფითი პასუხი გასცა.

კითხვაზე - რამდენად უწყობს დღეს სახელმწიფო პოლიტიკა ხელს, განათლების სისტემის განვითარებას? რესპოდენტთა პასუხებში გამოიკვეთა შემდეგი; -სახელმწიფომ უნდა უზრნველყოს ბოლომდე უფასო განათლება; -სახელმწიფომ დაფინანსება უნდა გაუზარდოს მეცნიერებას; -სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საშუალო სკოლების რეფორმა.

კითხვაზე - ბევრი კვალიფიციური ადამიანი ნიშნავს თუ არა ქვეყნის ეკონომიკის წარმატებას? ერთმნიშვნელოვნად ყველა რესპოდენტმა დადებითი პასუხი გასცა. მათ აღნიშნეს, რომ განათლება ჯერ თვითონ ადამიანისთვის არის სიკეთის მომტანი, მერე საზოგადოებისთვის და შემდგომ უკვე მთელი ქვეყნისთვის.

3.2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და განათლება (მსოფლიო სტატისტიკის ანალიზი)

განათლების დონის ზრდის გავლენის დასადგენად ეკონომიკის განვითარებაზე ნაშრომის ფარგლებში გარდა სიღმისეული ანალიზის სახით რესპოდენტთა გამოკითხვისა,გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები. გაანალიზებულია, რა კორელაცია არსებობს ქვეყანაში განათლების დონესა და ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის.

კვლევა 1. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს დაფინანსებით მომზადებული კლევის შედეგებს აქვეყნებს. კვლევა ეხება განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირს და 2016 წლის ზაფხულში საქართველოს მასშტაბით ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს ეფუძნება.

კვლევა ემსახურება ფორმალური განათლების მნიშვნელობის გამორკვევას დასაქმებაში და აჩვენებს, თუ როგორია განათლების ეკონომიკური სარგებელი ცალკეული ინდივიდებისთვის. ზემოაღნიშნულ კვლევაში სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა ქვეყანაში არსებული შრომითი ბაზარის მოთხოვნები შეისწავლა, კერძოდ, შეაფასა განათლებასა და დასაქმებას შორის შესაბამისობა და სამუშაო ძალის კომპეტენცია.

შედეგების მიხედვით, ანაზღაურებადი სამუშაო (თვითდასაქმებულთა ჩათვლით) გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ **33%-ს** აქვს, დაუსაქმებელი კი **67%-ია,** რომელთაგან ეკონომიკურად აქტიური და სამსახურის მაძიებელი **37,5 %-ია.**



რესპონდენტებში, რომლებსაც ფორმალური განათლება საერთოდ არ მიუღიათ, დაუსაქმებლები ჭარბობენ. უმუშევათა რაოდენობა მაღალია მხოლოდ სასკოლო განათლებისა და პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტების შემთხვევაში. მათში კი, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა რაოდენობა თითქმის იდენტურია.

კვლევის მიხედვით, საერთო ჯამში, დაქირავებით დასაქმებულებს შორის ყველაზე დიდი წილი მოდის უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაზე **(58%).** მას მოსდევს სკოლის განათლების მქონე დასაქმებულების წილი, რომელიც **23%-ს** შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით პროფესიული განათლების მქონე სამუშაო ძალაა წარმოდგენილი **(19%)** (იხ.სქემა).

სქემა -დაქირავებით დასაქმულთა შორის განათლების დონე



როგორც კვლევის ავტორები აცხადებენ, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლების მიერ დაქირავებულთა მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში (განსაკუთრებით კი, საჯარო სექტორის შემთხვევაში), მეტწილად, სწორედ უმაღლეს განათლებაზეა მოთხოვნა.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტების 53% აცხადებს, რომ თავისი პროფესიით მუშაობს, 6%-ით ნაკლები კი აღნიშნავს, რომ ამჟამად თავისი პროფესიით დასაქმებული არ არის (47%).

ამასთან, კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ კომპიუტერთან ინტენსიური მუშაობის გამოცდილება თითქმის 2-ჯერ ზრდის დასაქმების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგების მიხედვით, სკოლის განათლებასთან შედარებით, ბაკალავრის ხარისხი დასაქმების შესაძლებლობას თითქმის 3-ჯერ ზრდის, მაგისტრის ხარისხი კი – 5-ჯერ.

რაც შეეხება განათლების საფეხურის მიხედვით საშუალო ანაზღაურებას, კვლევის მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების დაბეგრილი ყოველთვიური ანაზღაურება საშუალოდ, 623 ლარს შეადგენს, სკოლის განათლების შემთხვევაში -497 ლარს, პროფესიული განათლების შემთხვევაში კი – 375 ლარს. შესასრულებელი სამუშაოს ტიპის და ანაზღაურების მიუხედავად, დამსაქმებლები მასობრივად მოითხოვენ უმაღლესი განათლების დიპლომს.

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი დასაქმებულთა შრომით კმაყოფილებას ეხება. როგორც კვლევამ გამოკვეთა, შრომით კმაყოფილების შეფასებისას არც ერთი ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში არ ფიქსირდება სტატისტიკური კავშირი შრომით კმაყოფილებასა და რეალურ ნომინალურ ხელფასს შორის. სტატისტიკური კავშირი დასტურდება მხოლოდ ხელფასით კმაყოფილების სუბიექტურ აღქმასა და შრომით კმაყოფილებას შორის, რაც, სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ რესპონდენტთა უმეტესობის შემთხვევაში, შრომით კმაყოფილებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათ აქვთ სამსახური და, შესაბამისად, გარკვეული ანაზღაურებაც, თუნდაც ის არ იყოს მაღალი.[13]

სტატისტიკური სამსახურის ინფორმაციით საქართველოში სამუშო ძალის დიდ ნაწილს აქვს დიპლომი, თუმცა ამ ადამიანთა დიდი ნაწილი დაუსაქმებელია.

აქ საქმე ეხება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პრობლემა 1. დიპლომის მქონე სამუშო ძალის დიდ ნაწილს არ აღმოაჩნდა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი უნარ-ჩვევები. ეს კი ნიშნავს, რომ მათი ცოდნა არარელევანტურია თანამდეროვე გამოწვევების ფონზე.

[13] http://netgazeti.ge/news/224057/

დასკვნა1. საჭიროა იმ პირთა გადამზადება მომზადება-რომელთაც უკვე აქვთ მიღებული განათლება და ასევე, საგანამანათლებლო პროგრამების გადახედვა, რათა ისინი ორიენტირებული გავხადოთ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

კვლევა 2. PISA -საერთაშორისო კვლევის მიზანია, დაადგინოს 15 წლამდე ასაკის მოსწავლეების კვლევა. ამ ორგანიზაციის მიზანია დაადგინოს, არა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინების ცოდნა, არამედ მათი გამოყენების უნარიც.

შედეგები აღმოჩნდა გამაოგნებელი. ქართველ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი, ბუნებისმეტყველებაში საბაზისო ცოდნასაც ვერ ფლობს.

კვლევა 3. კიდევ ერთი კვლევა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნას ამოწმებს, ეს არის **TALISS**-კვლევა. სამიზე ჯგუფია მე-4 და მე-8 კლასელები. შედეგები აქაც სავალალოა.

მათემატიკაში მინიმალური ცოდნა არ აქვს მეოთხეკლასელთა 22%-ს და მერვეკლასელთა 28%-ს. ბუნებისმეტყველებაში ეს რიცხვები უფრო გაზრდილია და შეადგენს მეოთხეკლასელთა 26%-ს და მერვეკლასელთა 30%-ს. (იხ. **სქემა -TALISS კვლევა)**

სქემა -TALISS კვლევა



კვლევა 4. კვლევა, რომელსაც სახელმწიფო (გამოცდების ეროვნული ცენტრი) ატარებს ქვეყანაში, ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობის დონეს. აღმოჩნდა, რომ ეს მიზანი მიღწეული არ არის მეცხრეკლასელთა 30,3%-სი მათემატიკაში, 34,8%-ში ფიზიკაში, 49,1%-ში ქიმიაში და 13მ, 3%-ში ბიოლოგიაში **(იხ. სქემა).**

სქემა -მეცხრეკლასელთა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევადობის დონე



პრობლემა 2. არსებული განათლების სისტემა სკოლის დონეზე ვერ აღწევს დასახულ მიზნებს.

დასკვნა 2. საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება, მაგრამ როგორ? მსოფლიო კვლევების მიხედვით სასკოლო განათლების სისტემა ყველაზე წარმატებულად ჩაიტვალა ფინეთსა და კორეაში. საინტერესო ის არის რომ ეს ორი სისტემა აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სასწავლო პროგრამებით, ისე სწავლების მეთოდოლოგიით და მიდგომებით, მაშ, რა აქვთ მათ საერთო? -ეს არის მაღალანაზღაურებადი პედაგოგები. ამ ორივე ქვეყანაში პედაგოგებს მნიშვნელოვნად მაღალი ხელფასები აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. აქ მასწავლებლის პროფესია მოთხოვნადია და არის კონკურენცია მათ შორის. კონკურენცია კი იწვევს ხარისხის ზრდას. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ საქართველომ მეტი ინვესტიცია უნდა ჩადოს განათლებაში და მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს მასწავლებელთა ხელფასები.

კვლევა 5. განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის, კონკურენტუნარიანობის შეფასებაში ძალიან საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი **(GCI).** ეს ინდექსი ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ბიზნესკლიმატის შექმნასა და მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, რომელიც 144 ქვეყნის კვლევას მოიცავს, საქართველო განათლებისადმი მოთხოვნების მიხედვით 2017-2018 წლების კვლევა მოიცავს 134 ქვეყანას. ამ ინდექსის თანახმად, საქართველო, 67-ე ადგილზეა, თუმცა ინოვაციისა და განვითარების ფაქტორით - 120-ე ადგილზეა და მისმა სარეიტინგო ქულამ 4,2 შეადგინა.

ქულების შედეგი ასე გამოიყურება:

5.45-დან 7 ქულამდე - ძალიან მაღალი მაჩვენებელი • 4.51-დან 5.44 ქულამდე - მაღალი მაჩვენებელი • 3.51-დან 4.50 ქულამდე - ზომიერი მაჩვენებელი • 3.01-დან 3.50 ქულამდე - დაბალი მაჩვენებელი • 1-დან 3 ქულამდე - ძალიან დაბალი მაჩვენებელი[14].

ეს გაუარესება ნათელყოფს, რომ ქვეყანა ვერ ეწევა მსოფლიოს განვითარებას და, შესაბამისად, მცირდება მისი კონკურენტუნარიანობა ამ კუთხით. თუ ცალკეული მიმართულებების მიხედვით გადავხედავთ, სიტუაცია ასეთია: ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების კომპონენტში საქართველოს საკმაოდ მაღალი ქულა აქვს პირველადი განათლების კუთხით (მე-7 ადგილი რეიტინგში), თუმცა, დაწყებითი განათლების ხარისხით, ქვეყანა 81 ადგილზეა 134 ქვეყნიდან (3.4 ქულა), რაც იმას ნიშნავს, რომ პირველადი განათლება კი ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ძალიან დაბალხარისხიანია. უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით კი საქართველოს კონკურენტუნარიანობა ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაშია და მის სარეიტინგო ქულა 3-ს არ აღემატება.

[14] http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2017_2018_geo_.pdf

2016-2017 წლის ინდექსში საქართველო 59-ე, 2015-2016 წლის ინდექსში კი 66-ე ადგილს იკავებდა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სარეიტინგო ქულა უცვლელია წელსაც 4.3-ია, თუმცა ადგილების დაკარგვა უკავშირდება იმას, რომ სხვა ქვეყნებმა გატარებული რეფორმების შედეგად ადგილის გაუმჯობესება შეძლეს. საქართველოში კი აღნიშნულ პერიოდში პრაქტიკულად არცერთი მნიშვნელოვანი რეფორმა არ გატარებულა, რიგი მიმართულებით კი პოზიციების გაუარესება შეიმჩნევა, მაგალითად ახალ ინდექსში საქართველო სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობით 87-ე ადგილზეა, წინა ინდექსში კი ის 63-ე ადგილს იკავებდა.

წლების მიხედვით საქართველოს პოზიცია ასე იცვლებოდა:

- 2017-2018 წლის ინდექსი ..... 67 ადგილი .....4.3 ქულა
- 2016–2017 წლის ინდექსი ..... 59 ადგილი ..... 4.3 ქულა
- 2014–2015 წლის ინდექსი ..... 69 ადგილი .....4.2 ქულა
- 2013–2014 წლის ინდექსი ..... 72 ადგილი .....4.2 ქულა
- 2012–2013 წლის ინდექსი ..... 77 ადგილი .....4.1 ქულა

(იხ. სქემა)

სქემა - საქართველოს ქულები მსოფლიო კონკურენტიანობის ინდექსით



ცხადია, თუ უკუგების თვალსაზრისით მივუდგებით, განათლებაზე პრიორიტეტის გაკეთებას ქვეყნისთვის გაცილებით დიდი უკუგება შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვას (მიუხედავად ბენეფიციარების ეკონომიკური საჭიროებისა) ან სუბსიდირების საკმაოდ გავრცელებულ პროგრამებს ქვეყანაში.

პრობლემა 3. ინოვაციების კუთხით საქართველოს საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს.

დასკვნა 3. მეტი აქცენტები უნდა გაკეთდეს ინოვაციურ ცოდნაზე, ანუ საჭიროა მეტი საბიუჯეტო ასიგნებები კვლევების დაფინანსებაზე.

კვლევა 6.

ბიუჯეტის კვლევის თანახმად, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განათლება თითქოს ყოველთვის პრიორიტეტად სახელდება, თუმცა, განათლებაზე გამოყოფილი თანხები მშპ-ს 3%-ს არასდროს არ აღემატებოდა; (გარდა 2019 წლისა) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განათლება ქვეყნის პრიორიტეტად სახელდება, თუმცა ამ სფეროში ბიუჯეტიდან ასიგნებები კვლავ მწირია.

განათლებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის **7-დან 9 %-მდე** ხარჯავენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: **დანია, ფინეთი, ისლანდია, ყირგიზეთი, ახალი ზელანდია.**

მ.შ.პ.ს-ს **5-დან 7 %-მდე** ხარჯავენ: **კანადა, დიდი ბრიტანეთი. საფრანგეთი, ისრაელი, ბელორუსია, ამერიკა, რუსეთი.**

საქართველო ყოველწლიურად ბიუჯეტიდან ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის 2, 8 %-ს, რაც მცირედით უსწრებს სომხეთში განათლებაზე დახარჯულ საბიუჯეტო სახსრებს.

„განათლების სფეროს დაფინანსება ეტაპობრივად გაიზრდება და 2022 წლის ბიუჯეტში ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს მიაღწევს, - ამის შესახებ განცხადება ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა. როგორც მან აღნიშნა, მთავრობის ინიციატივით, მომზადდა ცვლილებების პროექტი ბიუჯეტის შესახებ კანონში, რომლის შესაბამისად, სავალდებულოა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მომზადდეს და

დამტკიცდეს იმგვარად, რომ განათლების სისტემის დაფინანსება არ იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები. მისი თქმით, მთავრობის მიერ განათლების სფერო პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული და ახალი ინიციატივაც სწორედ ამ კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

2022 წლის ბიუჯეტი უნდა შედგეს ისე, რომ ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 6% დაიხარჯოს განათლების სფეროზე. იმისთვის, რომ განათლების სექტორის დაფინანსებამ ამ მოცულობას მიაღწიოს, აუცილებელია დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა. 2020 წლისთვის განათლების სექტორის დაფინანსება 2.0 მლრდ ლარს მიაღწევს, 2021 წელს 2.5 მლრდ ლარამდე იქნება, ხოლო 2022 წლისთვის 3,0 მლრდ ლარს გადააჭარბებს. მთავარი მიმართულებები იქნება ზოგადი, სკოლამდელი, ასევე, პროფესიული განათლება. თუმცა, არ გვავიწყდება უმაღლესი განათლება და მეცნიერება. მათი ბიუჯეტებიც გაიზრდება, მაგრამ როგორც თანხობრივად, ისე შინაარსობრივად ყველაზე დიდი ცვლილება და გარდატეხა იქნება ზოგადი განათლების ნაწილში“, მისი განცხადებით, იმის მიხედვით, როგორ გაიზრდება ქვეყნის შიდა პროდუქტი 2020-2022 წლების განმავლობაში, განათლების სფეროს ბიუჯეტის საერთო მოცულობა დაახლოებით, 3,4-მილიარდი ლარი იქნება“[15].

პრობლემა 4. განვითარებული ქვეყნების შედარების ანალიზით, იკვეთება პრობლემა - სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები, მწირია და ვერ უზრუნველყოფს განათლების დონის ზრდას.

დასკვნა 4. ამ ციფრების შემდგომ, არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს ახალი „განათლების ეროვნული კონცეფცია“ სადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ყოველწლიურად ქვეყანამ განათლებისთვის დახარჯოს მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 6 პროცენტი. ეს კი დღევანდელი ბიუჯეტის მიხედვით , მთლიანი შემოსავლების ერთი მეოთხედია, რაც უდაოდ, მისასალმებელი და უპრეცენდენტოა. განათლების სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიცია, სამომავლოდ, უდაოდ, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და ქვეყნის მდგრად განვითარებას.

[15] https://mof.ge/News/8935

ანალიზისთვის საჭიროა განვიხილოთ ბიუჯეტური დაფინანსებების ზრდა. 2018 წლის ბიუჯეტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 1,18 მილიარდი ლარი იყო, რაც მიმდინარე წელთან შედარებით 62 მლნ-ით მეტია. აქედან, ბიუჯეტის თანხებმა 1,06 მილიარდი ლარი შეადგინა, კრედიტმა - 30,3 მილიონი, გრანტმა - 86,5 მილიონი (იხ. სქემა).

სქემა -განათლების ბიუჯეტი



2021 წელს კი აღნიშნული მაჩვენებლები ასე შეიცვალა (იხ. სურათი)

გრაფიკი 1: ნაერთი ბიუჯეტის განათლების ხარჯები (მლნ ლარი; %)



წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი*

დასკვნა

საქართველოში უკვე 20 წელზე მეტია რეფორმები მიმდინარეობს და საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილად გადასვლა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. არ არის განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა მოიცავდეს აქტიურ საფონდო, სასაქონლო თუ შრომის ბირჟებს. განვითარების დაბალი ტემპები აქვს, როგორც სამრეწველო, ასევე სასოფლო-სამეურნეო სექტორებს. ასევე დაბალია მცირე ბიზნესის გსნვითარების ტემპები. საგადამხდელო ბალანსში კი მუდმივი დეფიცია და იმპორტის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღმატება ექსპორტს.

გამოსავალი კი მხოლოდ ინოვაციებზე დაფუძნებულ ეკონომიკაში მდგომარეობს, რომლის არსიც ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის გაძლიერებას გულისხმობს.

ცოდნის ეკონომიკა დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს წარმატებულ განვითარებაზე. ზოგადად ადამიანური კაპიტალი იმით გამოირჩევა რომ მას დიდი გარეგანი ეფექტი გააჩნია, ასე რომ სახელმწიფოს თავისი წარმატებისათვის უნდა იზრუნოს ინტელექტუალური კაპიტალის ზრდაზე.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიო სიმდიდრის 64 % ადამიანურ კაპიტალში მდგომარეობს, რომლის დიდ ნაწილს შეადგენს მუშაკთა ცოდნა და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

თავის წიგნში, “კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალების“ - ავტორი, არტურ მედისონი წერს, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35 %-ით ზრდას. შეიძლება ეს ციფრები გარკვეული დაკვირვების შედეგია და ვერ განვაზოგადოთ, მაგრამ ქვეყანაში ცოდნის, განათლების დონე, ინტელექტუალური კაპიტალი რომ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეს ფაქტია. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს განათლების სისტემის დახვეწაზე, ცოდნის განახლებაზე, რადგან როგორც სხვა კაპიტალი ინტელექტუალური კაპიტალიც განიცდის ცვეთას და ძველდება გარკვეულ პერიოდში. ამიტომ საჭიროა მისი განახლება, მეცნიერული კვლევების დაფინანსება, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა და ა.შ.

ამერიკელმა ეკონომისტმა ედვარდ დენისონმა მოახდინა ეკონომიკური ზრდის ფაქტორების კლასიფიკაცია. მის მიერ შერჩეული 23 ფაქტორიდან:

- **4 მიეკუთვნება შრომას;**
- **4-კაპიტალს;**
- **1-მიწას;**
- **14 კი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წვლილს გვიჩვენებს.**

მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 3-6%-ით.

მისი აზრით, ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება არა იმდენად დახარჯული ფაქტორების რაოდენობით, არამედ მათი ხარისხით და ამ ხარისხის ზრდით.

მან გამოიკვლია აშშ-ს ეკონომიკა 1929-1982 წ.წ. და პირველ ადგილზე სამუშაო ძალის ხარისხი დააყენა. დენისონმა გააკეთა დასკვნა, რომ ერთ მუშაკზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი არის განათლება, როგორც ადამიანური კაპიტალის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ერთსა და იმავე ინვესტიციას, სხვა თანაბარი პირობების დროს, თანაბარი შემოსავალი მოაქვს, მაშინ როცა ორი ადამიანი, თანაბარ პირობებში მიღებული განათლებით, სრულიად განსხვავებულ შედეგებს აღწევს. ამის მიზეზია განსხვავებანი ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, ბუნებრივ მახასიათებლებსა და გარემო პირობებში.

ინტელექტუალური კაპიტალი გამოდის მთავარი ძალა ეკონომიკის განვითარებისა ინფორმაციულ ერაში. ის ქმნის სიახლეებსა თუ პროცესების ერთობლიობას დაფუძნებულს ცოდნასა და გამოცდიელებაზე. მიკრო დონეზე კომპანიებმა და მაკროდენეზე სახელმწიფო უნდა ეცადოს მის ზრდასა და გაუმჯობესებას. სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად მეტი ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რადგან ის მართლაც ამოსავალი წერტილია ქვეყნის წინსვლისათვის. თანაც ადამიანურ კაპიტალს მეტი უკუგება გააჩნია ვიდრე ფიზიკურს. საჭიროა აღზრდის,

განათლების, მეცნიერად ჩამოყალიბების პროცესის სწორად დაგეგმვა და დროში გაწერილი სტრატეგია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლების სამართლებრივი უზრუნველყოფა, სამეცნიერო კვლევების მოტივირება. ცოდნის ეკონომიკის მთავარი თავისებურება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი, ინოვაციური, კრეატიული პოტენციალის გაძლიერება და რეალიზაციაა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ა. აბრალავა, „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ. 612.
2. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე. რ. ქუთათელაძე, „ინოვაციების მენეჯმენტი, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი, თბ., 2008, გვ. 245.
3. ლ. გვაჯაია „ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები, „ინოვაცია, №1, თბილისი, 2003.
4. გ. გოთუა, „ინკლუზიური ზრდა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომა ალტერნატივები საქართველოს განვითარების პოლიტიკისთვის“, 16.10.2015, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 28.01.2016.
5. გ. ბერუჩაშვილი, „ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალობა“, 23.02.2016.
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება, დანართი N1 —საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია”, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N 1722 განკარგულება, “საქართველოს საინოვაციო კონცეფცია”.
7. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, www.mes.gov.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -5.01.2016
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2016.
9. 17. Becker G.S., The Theoretical and Empirical Analyses with Special Reference to.
10. Education., New - York, Columbia University Press, 1975, P.I 18. Bell D. The End of Ideology: On the Exhaustion of Political Ideas in the Fifties.

11. N.Y.: Free Press,1965, ISBN 0-674-00426-4 19. Bell D. The coming of Post-industrial society: A Venture of Social Forecasting. — N.Y.:

12. Basic Books, 1973, ISBN 0-465-01281-7 20. Bell D. The Cultural Contradictions of Capitalism. — N.Y.: Basic Books, 1976. Ben.

13. Porath Y., The Production of Human Capital and the Live. Cycle of Earning.

14. Journal of Political Economy, Agust, 1973, p. 363; 21. Blaug Mark, Ricardian Economics: A Historical Study. — New Haven: Yale University.

15. Press, 1958. — 269 p. 22. Blaug Mark, Appraising Economic Theories: Studies in the Methodology of Research.

16. Programs (red. Neil de Marchi) - N.-Y., -1991, - 300 p. 23. Blaug Mark,Not Only an Economist. Recent Essays, - N.-Y., - 1997, 245 p. 24. Bowen William G. and others, Equity and Excellence in American Higher Education.

17. April 7, 2006, - 204 pages; 25. Bowls Samuel, Microeconomics: Behavior, Institutions, and Evolution, Princeton.

18. University Press, -2004, 26. Bowls Samuel, Planning Educational Systems for Economic Growth, Princeton.

19. University Press, - 1969 27. Caren John E., “Compensating Wage Differentials and the Endogeneity of Job.

20. Riskiness”, Review of Economics and Statistics, February 1988, №70(1) 28. Clarck John B., The Distribution of Wealth: A Theory of Wages, Interest and Profits.

21. full text on: http://www.econlib.org/library/Clark/clkDW0.html; 29. Chiswick Barry R. and Miller Paul W., Does the Choice of Reference Levels of.

22. By Quantities, IZA Discussion Papers – 2013; 31. Denison. E., Accounting for United States Economic Growth, 1929-69; 1974 32. Denison. E. Accounting for Slower Economic Growth: The United States in the 1970's.

23. Northampton (Mass.): Elgar, cop. 2000; 34. Dordick H.S., Wang G. The Information Society: A Retrospective View. Newbury Park.

24. L., 1993. Fisher Irving, The nature of Capital and Income, New York, The.

25. Cambridge Journal of Economics, 1995; 36. Galbraith John K., American Capitalizm: The Concept of Countervailing Power.